

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი N 30

ქ. თბილისი

27.07.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურუდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ნინო ჩანადირი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი)

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლობჯანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელევთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

ირინე გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

პაატა ბრეგვაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები :

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ანზორ ბერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მაია ვანიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;

მარინა ქორიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

გოდერძი ბუჩაშვილი - პრორექტორი საგარეო ურთიერთობების დარგში;

დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თეა კბილცეცხლაშვილი - ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი;

ავთანდილ გაგნიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;

სოფიო ხუნდაძე - ბიზნესის მართვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

რევაზ კორაშვილი

გიორგი ტიტვინიძე

ანი ბილანიშვილი

გოდერძი ბუჩაშვილი

თამარ შინჯიაშვილი

რუსუდან სეთურიძე

მარინა ჩავლეიშვილი

ანი გვრიტიშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:32 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 11 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოორგანული ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი. წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოორგანული ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოორგანული ქიმია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ქიმიის დოქტორი 0503
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის განხორციელებისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოვლენილ იქნა გარკვეული ხარვეზები რაც მონდომების შემთხვევაში მარტივად გამოსწორებადი ხასიათის იყო. ჯგუფის მიერ შემუსავებულ იქნა 9 რეკომენდაცია, რომელთაგანაც 4 გახლდათ ფორმალური ხასიათის, ხოლო 5 შედარებით მნიშვნელოვანი. ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ კადრების პრობლემატიკასთან დაკავშირებული საკითხი. მათ ბოლო წლების განმავლობაში არ ჰქონდათ პუბლიკაციები იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში, რის გამოც შიდა რეგულაციის თანახმად მათ არ შეეძლოთ ეხელმძღვანელათ დოქტორანტებისათვის. აღსანიშნავი იყო, რომ მსგავსი პროგრამებისათვის ხშირ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენდა ფინანსური მხარე, თუმცა ამ შემთხვევაში მსგავსი პრობლემა არ ჰქონდა დაწესებულებას. მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა, ტარდებოდა კვლევები, ჰქონდათ მოპოვებული გრანტები და მუშაობდნენ კერძო შეკვეთებზეც. ყოველივე ზემოაღნიშნული კი ხმარდებოდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. სისუსტე შეინიშნებოდა იმ მხრივ, რომ კვლევის არეალი იყო საკმაოდ ვიწრო, რაც იმას ნიშნავდა რომ კვლევების მიმართულების კუთხით არ შეიმჩნეოდა მრავალფეროვნება ქიმიის მიმართულებით. ბუნებრივი იყო ქიმიური ნაერთების კვლევა მცენარეებში საინტერესო სამუშაო იყო, თუმცა უმჯობესი იქნებოდა მომხდარიყო ახალი კვლევითი მიზნების დასახვა და ასევე უცხოური გამოცდილებების გაზიარებაც. ჯგუფი გაეცნო ერთ-ერთ დისერტაციას, რომელიც შეესაბამებოდა სტანდარტებს, თუმცა დანარჩენი მოქმედი 7 დოქტორანტის სამუშაოც მსგავსი ტიპის იყო.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას თავისი მიზნიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად მიაჩნდა აღნიშნული პროგრამის განხორციელება და ამიტომაც უზრუნველყოდა შესაბამის მხარდაჭერას. როგორც აღინიშნულ იქნა ექსპერტთა მიერ, ზოგიერთი რეკომენდაცია ტექნიკური ხასიათის გახლდათ, რაც დაწესებულების მიერ განხორციელებულ იქნა. პროგრამისთვის მნიშვნელოვანი იყო სტრუქტურული ინფრასტრუქტურა. დაწესებულებას კავშირი ჰქონდა დასავლეთ საქართველოს ქრომატოგრაფიულ ცენტრთან, რაც საშუალებას აძლევდა დოქტორანტებს ეშრომათ და მიეღოთ შესაბამისი შედეგი. აკადემიური კადრების სიმცირესა და კვლევის არეალის გაფართოებას რაც შეეხებოდა, აღინიშნა რომ სწორედ აღნიშნული სადოქტორო პროგრამა შეუწყობდა დაწესებულებას ხელს იმაში, რომ აღზრდილიყვნენ ახალგაზრდა აკადემიური პერსონალი და გაფართოვებულიყო კვლევის არეალი. იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში, ბოლო წლებში ციტირების არქონას განაპირობებდა ის, რომ კვლევითი საქმიანობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა შეფერხებით, რადგან დაწესებულებები, რომლებთანაც არსებობდა კავშირი, იქნებოდა ეს მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი და ასევე აგრარული ტექნოლოგიების ინსტიტუტი ხშირად იცვლიდნენ მდებარეობას, რაც პრობლემებს ქმნიდა, თუმცა უკანასკნელ პერიოდში მათი დაფუძნების შემდგომ დაწესებულებას მიეცა საშუალება აქტიურად გამოეყენებინა ბაზა, რაც ხელს შეუწყობდა კვლევითი საქმიანობის ინტენსიფიკაციას და გაფართოებას, რადგანაც ტექნოლოგიებში მემბრანული კომპონენტები ჩაერთვებოდა, რაც აისახებოდა გამოქვეყნებულ სტატიებზეც. გადაჭრილი იქნებოდა კადრების პრობლემაც, რადგან ინსტიტუტებში მუშაობდნენ გამოცდილი ადამიანები, ვისაც ამ ეტაპისათვის უკვე შეეძლო ჩართულობა პროცესში. ბაზის გაფართოების კვალდაკვალ, შექმნილი 2 სტატია უკვე გაგზავნილი იყო

დაწესებულების მიერ. იმისთვის რომ დოქტორანტებს ასევე ჰქონოდათ გამოქვეყნებული სტატიები, მათ გაუგრძელდათ ვადა რათა აღნიშნული განხორციელებინათ. რაც შეეხებოდა ინტერნაციონალიზაციას, დაწესებულებას და პროგრამას უკვე ჰქონდა საშუალება წარმდგარიყო უცხოელი კოლეგების წინაშე სათანადო ბაზით და კვლევებით. ამ კუთხით მიმდინარეობდა მუშაობა. ურთიერთობა არსებობდა ტალინის უნივერსიტეტთან. ამასთანავე, დაწესებულებას კავშირი ჰქონდა თანამოქალაქესთან, რომელიც საქმიანობდა უცხოეთში კვლევითი მიმართულებით ეთერზეთებზე და მზად იყო ეთანამშრომლა, რაც გულისხმობდა ერთიანი საგრანტო კვლევების მომზადებას და სხვა. კვლევით პროექტებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი დოქტორანტებიც.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, რა სახის გრანტებზე იყო საუბარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 2009 წლის შემდგომ პროგრამამ დაახლოებით 15-მდე გრანტი მიიღო, იყო ეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი, პრეზიდენტის ფონდის გრანტი, შიდა საუნივერსიტეტო სამი გრანტი და სხვა, სადაც ჩართული იყო ყველა დოქტორანტი. ამასთანავე, დაწესებულებას მიღებული ჰქონდა 9 განაცხადი იმ ორგანიზაციებისგან, ვისაც სურდა მათი ბაზის გამოყენება. აქტუალობიდან გამომდინარე დაწესებულებაში მუშაობდნენ ალკალოიდებზე და ფენალურ ნაერთებზე. შესწავლა ხდებოდა ფაქტობრივად მთელი საქართველოს მცენარეული ნედლეულის. ხორციელდებოდა თაფლისა და ღვინის პასპორტიზაცია მაღალი წნევის ქრომატოგრაფის გამოყენებით და ნიმუშები წარმოდგენილი იყო მთელი საქართველოდან. მაგალითისათვის, დოქტორანტები იკვლევდნენ ტყემალს, მის ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთებს, რაც რაოდენ უცნაურიც არ უნდა ყოფილიყო ამ დრომდე არც ისე აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა საქართველოსთვის. დაწესებულებას გააჩნდა ისეთი ხელსაწყოები როგორიც იყო მაგალითად მაღალი წნევის სითბური ქრომატოგრაფი, გაზის ციფრული ქრომატოგრაფი, სხვადასხვა დეტექტორები, თუმცა დაწესებულებას არ გააჩნდა ბირთვულ მაგნიტური რეზონანსული სპექტროსკოპი, რომელის შემენაც საკმაოდ დიდ რესურსთან იყო დაკავშირებული. აღნიშნული ხელსაწყო იყო სომხეთში, მოლექულო ცენტრში და მათთან არსებული შეთანხმების საფუძველზე, როდესაც დაწესებულებას სჭირდებოდა ხელსაწყოს გამოყენება კვლევაში ხდებოდა ნაერთების კვლევა სომხეთში. იქედან გამომდინარე რომ ექსპერტებმა გააკეთეს ამაზე მითითება, ხელსაწყოზე მუშაობა შევიდა სილაბუსებშიც. ის შეიძინა აგრარულმა უნივერსიტეტმა და შესაბამისად იგეგმებოდა თანამშრომლობა მისი გამოყენების კუთხით.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ ნახსენები იქნა კომერციული შეკვეთების შედეგად მიღებული შემოსავალი. მან იკითხა, რა სახის შეკვეთებს ეხებოდა საქმე და თუ მონაწილეობდნენ ამაში დოქტორანტებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას უკვეთავდნენ კვლევებს, რომელშიც ყველა დოქტორანტი იყო ჩართული. მიღებული გრანტის ფარგლებში რომელიც მილიონს აღემატებოდა, დაწესებულებამ მოახდინა ბაზის გამდიდრება, მაგრამ რჩებოდა პერსონალის პრობლემა. დასაქმების თვალსაზრისით ფაქტობრივად დაწესებულებაც გამოდიოდა დამსაქმებლად, რადგანაც ის ასაქმებდა დოქტორანტებს. ექსპერტთა მიერ შემოწმებული დოქტორანტი მონაწილეობას იღებდა პერსონალის კონკურსში და მან მიიღო რეკომენდაცია, რომ მომავალში ის დასაქმებული იქნებოდა დაწესებულებაში.

საბჭოს წევრმა, ირინა გოცირიძემ იკითხა განაპირობა თუ არა ინსტიტუტებთან ადრე არსებულმა პრობლემებმა ის, რომ როგორც ექსპერტები მიუთითებდნენ პროგრამის სათაური არ მოდიოდა შესაბამისობაში რეალურად იმასთან რასაც ის ასწავლიდა. აქ არ იყო ორგანული სინთეზი რაც მნიშვნელოვანი იყო პროგრამისათვის. აქ აქცენტი იყო ნაერთების კვლევაზე. მას ასევე აინტერესებდა, კვლევა სრულდებოდა მხოლოდ სტრუქტურის შესწავლით თუ ხდებოდა ფარმაცოლოგიური სკრინინგიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამას სახელი შეურჩიეს იქიდან გამომდინარე, რომ ის სწავლობდა ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთებს. ბიოორგანული ქიმია მოიცავდა როგორც ანალიზს, ასევე სინთეზს. ჯგუფი ძლიერი იყო ანალიზის ნაწილში, თუმცა სინთეზის შეტანაც პროგრამაში შესაძლებელი იყო თუნდაც მემბრანული ტექნოლოგიების ჩართვით პროგრამაში.

საბჭოს წევრმა, ირინე გოცირიძემ იკითხა, გამოიწვევდა თუ არა ეს ცვლილებებს სასწავლო კურსებში, რადგან პროგრამა იყო ანალიზზე ორიენტირებული და არა სინთეზზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ გაითვალისწინეს ექსპერტთა რეკომენდაცია და პროგრამაში ჩართეს ორგანული ქიმიის გაძლიერებული კურსი. არჩევით საგნებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელი იქნებოდა და ეს არ გამოიწვევდა განსაკუთრებულ სტრუქტურულ ცვლილებებს, თუ ის მოერგებოდა პროგრამას.

საბჭოს წევრმა, ირინე გოცირიძემ განაცხადა, რომ ამისათვის საჭირო იქნებოდა მეტი არჩევითი კურსის შეთავაზება.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ როგორც ის ხედავდა, რეკომენდაციები იყო მძიმე, თუმცა საბოლოო დასკვნა თითქოს არ შეესაბამებოდა რეკომენდაციებს. მაგალითად რეკომენდაციის მიხედვით, მიზანი, შინაარსი და კვალიფიკაცია ერთმანეთთან თანხვედრაში არ მოდიოდა, რაც პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სტანდარტს მოიცავდა, თუმცა საბოლოო შეფასებაში ფიქსირდებოდა მეტწილი შესაბამისობა. ამასთანავე მისთვის, როგორც იურისტისთვის, გაუგებარი რჩებოდა რატომ იყო კვლევის სფეროს დავიწროვება უარყოფითი დოქტორანტურის საფეხურზე. ამასთანავე, არსებობდა ერთი იურიდიული საკითხიც, კერძოდ, თუ დაწესებულებას შიდა რეგულაციით განსაზღვრული ჰქონდა იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების აუცილებლობა და ეს არ სრულდებოდა, ესე იგი ირღვეოდა წესი. თუ მოთხოვნა ფორმალური იყო და არ სრულდებოდა, მაშინ გაურკვეველი იყო როგორ შეიძლებოდა დამდგარიყო მეტწილი შესაბამისობა. მან თხოვა ექსპერტებს, აეხსნათ აღნიშნული საკითხები.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მიმდინარე კვლევები ფარავდა რამდენიმე მიმართულებას და კვლევის პროცესშიც შეხება ხდებოდა რამდენიმე სფეროსთან, თუმცა აქ საუბარი იყო იმაზე, რომ თუ სათაურში რჩებოდა ქიმია, მაშინ აქცენტირება მეტად უნდა მომხდარიყო ქიმიაზე. რაც შეეხებოდა კვლევის სფეროს გაფართოვებას, სასურველი იყო, რომ 7 დოქტორანტს ჰქონოდა განსხვავებული საკვლევი საკითხები, მაგალითისათვის თუ საკვლევი იქნებოდა ერთი და იგივე მცენარე, მასში მომხდარიყო სხვადასხვა ნივთიერებების შესწავლა სხვადასხვა დოქტორანტების მიერ.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, ეს იმასთან ხომ არ იყო კავშირში, რომ პერსონალი მუშაობდა ერთი კონკრეტული მიმართულებით, ხომ არ იქნებოდა უმჯობესი მომხდარიყო მოწვევა პერსონალისა, დოქტორანტის კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი აღნიშნულს გაითვალისწინებდნენ სამომავლოდ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ რაც შეეხებოდა იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებას, ეს იყო ახალი რეგულაცია, რომელიც დაწესებულებას 2018 წლიდან ჰქონდა შემუშავებული.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას აღნიშნული წესი შეეძლო პერსონალის მიღებისას გამოეყენებინა და მოეთხოვა რომ მათ ჰქონოდათ გამოქვეყნებული ნაშრომები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გეგმა უკვე ითვალისწინებდა სამომავლოდ მსგავს მოთხოვნებს 2019 წლიდან და შემდგომ სტანდარტი მაღლდებოდა 2023 წლიდან. პერსონალს სტატიები გამოქვეყნებული ჰქონდა, თუმცა რადგანაც ეს აქამდე ვალდებულებად არ ითვლებოდა, ისინი დროს აძლევდნენ მათ განეხორციელებინათ აღნიშნული.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, ხდებოდა თუ არა ჩაის კვლევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჩაის კვლევის მნიშვნელობასთან დაკავშირებით პროგრამის წარმომადგენლების აზრი იყოფოდა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა, მოხდებოდა თუ არა ჩაის კვლევა იმ შემთხვევაში, თუ ის საერთოდ არ მოვიდოდა საქართველოში.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მსგავსი კვლევები ტარდებოდა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს, რითი იყო განპირობებული კვლევითი მიმართულების სივიწროვე, თავად პერსონალის სპეციფიკიდან გამომდინარე თუ კვლევითი მეთოდოლოგიის სიმჭირიდან გამომდინარე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პერსონალი იმ სახის კვლევაში რთავდა სტუდენტებს, რაც მათ თავად იცოდნენ. თუ ეყოლებოდათ სხვა პერსონალიც, შესაძლოა სფერო გაფართოებულიყო.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა, აუცილებელი იყო თუ არა მოცემულ სფეროში უფროსი მკვლევარი, დოქტორანტისათვის.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დოქტორანტს უფროსი ხელმძღვანელი ესაჭიროებოდა, რადგან მას დასჭირდებოდა დახმარება იმ სიახლეებთან მიმართებაში, რაც მაგალითისათვის ხელსაწყოებთან მუშაობისას და ა.შ. წარმოიშობოდა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამაში იყო კურსი - კვლევის მეთოდები და ხერხები. მან იკითხა, როგორ შეიძლებოდა შეფასებულიყო კურსის შინაარსი, იქნებოდა თუ არა შესაძლებელი საგანს მიეცა დოქტორანტისთვის ის უნარები, რაც მას კვლევისათვის გამოადგებოდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ როდესაც ის გაეცნო სილაბუსებს, დარჩა შთაბეჭდილება რომ კვლევის მეთოდების სილაბუსი სხვა საუნივერსიტეტო საგნების სილაბუსისგან რადიკალურად განსხვავებული მიდგომით იყო შედგენილი. თუ ყველა სხვა სილაბუსში დაცული იყო გარკვეული სტანდარტი, აღნიშნულ სილაბუსზე ამას ვერ იტყოდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ კურსში ძირითადად ისწავლებოდა ანალიზის მეთოდები, რომლებიც თანამედროვე იყო.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა, რომ ლიტერატურად მოცემული იყო მასპექტრომეტრიის შესავალი. რამდენად შეესაბამებოდა ლიტერატურა კურსს და სწავლების საფეხურს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ რადგანაც მასპექტრომეტრია გამოიყენებოდა, ის შესაბამისი იყო. იგუისხმებოდა ისიც, რომ სხვა წიგნებიდანაც უნდა მომხდარიყო სწავლება, რაც რთული გასაწერი იყო დეტალურად. ზოგადად, თუკი საგანი არ იარსებებდა, კვლევის მეთოდები სტუდენტს მაინც უნდა შეესწავლა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ ჩრდილოვანი პროცესის შესწავლა ვერ მოხედებოდა, გეგმა გაწერილი უნდა ყოფილიყო სილაბუსში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სადოქტორო საფეხურზე შესაძლოა ისეთი რამის შესწავლაც მომხდარიყო რაც ახალი გამოგონილი იქნებოდა. დაწესებულება კონკრეტულ ხელსაწყოს იყენებდა ანალიზისათვის და მის მიზანს მის გაუმჯობესებაზე მუშაობა არ წარმოადგენდა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ მისი კითხვა იყო, ეცოდინებოდა თუ არა დოქტორანტს კვლევის მეთოდოლოგია წარმოდგენილი სილაბუსით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მეთოდები სტუდენტს უკვე უნდა სცოდნოდა სამაგისტრო საფეხურზე, სადოქტორო საფეხურზე მას ძირითადად შედარებები უნდა ეწარმოებინა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბაკალავრო საფეხურზე დაწესებულება შესავალი სახით აცნობდა ხელსაწყოებს სტუდენტებს.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა, შეიქმნებოდა თუ არა პრობლემა კვლევის მეთოდის ცოდნის კუთხით თუ დაწესებულებაში მივიდოდა წარსულში სხვა დაწესებულებაში განათლება მიღებული სტუდენტი, რადგან დაწესებულებას მსგავსი შეზღუდვა არ ჰქონდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კვლევის ფიზიკურ მეთოდებს ყველა ქიმიის პროგრამა მიმოიხილავდა. რაც შეეხებოდა სადოქტორო საფეხურს, კვლევის მეთოდებში და ხერხებში მიმოიხილებოდა ის მეთოდები, რომლითაც შეიძლებოდა კვლევის ჩატარება.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ მან პროგრამაში ვერ ნახა სილაბუსები - სემინარი დარგში და სემინარი ქვედარგში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დადგენილებაში შევიდა ცვლილება და სილაბუსები უკვე იყო პროგრამაში.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, ჰყავდა თუ არა დაწესებულებას უცხოელი სტუდენტი, რადგან რეკომენდაციებში ქართული ენის ცოდნის საკითხი იყო ხაზგასმული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უცხოელი სტუდენტი არ ჰყავდათ, თუმცა რეკომენდაცია სამომავლოდ შესაძლოა გამოსადეგი ყოფილიყო.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ პროგრამაში იყო როგორც აკადემიური წერა, ასევე სამეცნიერო წერაც. მან იკითხა რა არსობრივი სხვაობა იყო ამ ორ სილაბუსს შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ აკადემიური წერა არასწორად იქნა გაგებული დაწესებულების მიერ და შესწორება უკვე იყო შეტანილი.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ არჩევითი კომპონენტი პროგრამაში იყო მწირი. მას აინტერესებდა, რაში მდგომარეობდა ლოგიკა რომ არჩევით კომპონენტში იყო მხოლოდ ორი საგანი, ერთ-ერთი სოციალური ფსიქოლოგიის სილაბუსი და არა კურსები რომელიმე სხვა პროგრამიდან. რაც შეეხებოდა პედაგოგიკის სილაბუსს, სწავლების მეთოდებში, მისი აზრით საჭირო იყო პრაქტიკის ნაწილის გაძლიერება, რადგანაც ცალსახად დომინირებდა თეორიული ნაწილი, სილაბუსიდან არ ჩანდა, რომ სტუდენტს პედაგოგიური აქტივობა უნდა განეხორციელებინა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტებს ჰქონდათ კურსი პროფესორის ასისტირება და ისინი ახორციელებდნენ ყველა მეთოდს რაც ისწავლებოდა.

ექსპერტმა ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, როგორ მიიღებდნენ მემბრანების ინსტიტუტის თანამშრომლებს, როდესაც ზოგიერთ მათგანს არ ჰქონდა დოქტორის ხარისხი, შესაბამისად მათი ჩართვა პროგრამაში სადაც საჭირო იყო სტატიების გამოქვეყნება და აშ., შესაძლოა პრობლემური გამხდარიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი კარგად ასწავლიდნენ, თუმცა სამეცნიერო სტატიების კუთხით ბუნებრივია აქტივობები სავარაუდოდ ვერ ექნებოდათ.

ექსპერტმა ურჩია დაწესებულებას გადაეგზავნა თვალსაჩინოებისათვის აღნიშნული 2 გაგზავნილი სტატიის გაგზავნის დამამტკიცებელი დოკუმენტები, რაც კითხვებს მოხსნიდა.

16:38 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება
სხდომა განახლდა 16:54 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოორგანული ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის ერთწლიანი პირობითი აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22 მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის 3² პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოორგანული ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლება
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების დოქტორი 03
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, რომელიც პროგრამაზე სასწავლო კომპონენტის ხვედრით წილს 40%-ს განსაზღვრავდა როგორც 72 კრედიტს, რაც გასასწორებელი იყო, რადგან 60-ზე მეტი კრედიტი სასწავლო კომპონენტისათვის არ დაიშვებოდა. რეკომენდაცია შეეხებოდა დასწრების საკითხს, კერძოდ სტუდენტისათვის სავალდებულო იყო 50%-იანი დასწრება, იმისათვის რომ საბოლოო გამოცდაზე გასულიყო, რაც ექსპერტთა თვალსაზრისით ლოგიკური არ იყო სადოქტორო საფეხურისთვის. რეკომენდირებული იყო დაკონკრეტებულიყო კვლევითი ბაზის შერჩევის პრინციპები. რეკომენდირებული იყო გაზრდილიყო დამსაქმებელთა მოტივაცია, რათა ისინი აქტიურად ჩართულიყვნენ პროგრამის განვითარებაში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სასწავლო კომპონენტში იყო საგანი - განათლების ფილოსოფია, რომელიც სასურველი იქნებოდა გამხდარიყო არჩევითი, ხოლო მის ნაცვლად სავალდებულო კომპონენტში ჩასმული უნდა ყოფილიყო სწავლების თანამედროვე მეთოდები ან სხვა პრაქტიკული საგანი. ამასთანავე, სწავლების თანამედროვე მეთოდებში, რომელიც სარგებლობდა არჩევითი სტატუსით უნდა დახვეწილიყო თემატიკა. პროგრამაში არ არსებობდა პროფესორის ასისტორების და სემინარის სილაბუსები, რის გამოც ექსპერტებს

გაუჭირდათ დაედგინათ როგორ ხდებოდა მათი სასწავლო კომპონენტის დაგეგმვა. კვლევის სტატისტიკური მეთოდები არ ასწავლიდა კვლევის ელექტრონულ სისტემებს, მინიმუმ SPSS მაინც. საჭირო იყო სილაბუსის დახვეწა და განვითარება. რეკომენდირებული იყო დახვეწილიყო დაშვების წინაპირობები, მათ შორის უცხოელებისთვისაც, რომლებსაც მოეთხოვებოდათ ქართული ენის A2 დონეზე ცოდნა და საჭირო იყო პროგრამაზე მიღებულიყვნენ პირები, რომლებსაც განათლების კუთხით განათლება ან სამუშაო გამოცდილება ექნებოდათ. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების ფორმატში გაწერილი იყო ქულობრივი შეფასება, თუმცა გასაუბრების დროს დადგინდა, რომ ქულობრივ შეფასებას არ ენიჭებოდა კრედიტი. ამიტომაც ექსპერტების რეკომენდაცია იყო გასწორებულიყო აღნიშნული ტექნიკური საკითხი. ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში შეფასების რუბრიკებში მითითებული არ იყო ქულები. რეკომენდირებული იყო დაწესებულების ბიბლიოთეკას დოქტორანტურის სტუდენტებისათვის შეეთავაზებინა სემინარები სხვადასხვა სამეცნიერო ბაზებთან მუშაობის შესახებ. რადგანაც პროგრამის დასრულების შემდგომ დოქტორი საქმდებოდა განათლების სფეროს ნებისმიერი ტიპისა და საფეხურის დაწესებულებაში, მათ შორის უმაღლეს სასწავლებლებში, ექსპერტებს მიაჩნდათ რომ პროგრამას უნდა მიეცა დოქტორანტებისათვის ცოდნა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მათ შესაძლებლობას მისცემდა განეხილათ კურიკულუმები, მოეხდინათ განათლების მენეჯმენტი. მსგავსი საგნები პროგრამაში არჩევითი სახით მაინც უნდა ყოფილიყო შეთავაზებული. დაწესებულებას ხელი უნდა შეეწყოს სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო ინფორმაცია დაწესებულების მიღმა კვლევითი და სასწავლო შესაძლებლობების შესახებ. ასევე, რეკომენდირებული იყო დაწესებულებას ეზრუნა ელექტრონული პორტალისთვის დამატებითი საკომუნიკაციო ფუნქციის განვითარებაზე. პორტალი არსებობდა, თუმცა ის ვერ მუშაობდა სადოქტორო სტუდენტებთან მიმართებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბევრი რეკომენდაცია შესრულებული იქნა, ტექნიკური ხარვეზები გამოსწორდა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ზოგიერთი სასწავლო კურსი გადასულიყო არჩევით ბლოკში, ისეთი როგორიც იყო განათლების ფსიქოლოგია. ამასთანავე, დამტკიცებულ იქნა სილაბუსი პროფესორის ასისტირების შესახებ და ამის წარმოდგენა იყო შესაძლებელი. რაც შეეხებოდა სტატისტიკურ მეთოდებს, სილაბუსში შევიდა კორექტირება და დამატებულ იქნა SPSS-ის ალტერნატიული სტატისტიკური დამუშავების პროგრამა, რომელსაც სტუდენტები მანამდეც იყენებდნენ, თუმცა ეს არ იყო ასახული სილაბუსში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სადისერტაციო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით, ქულები არ აისახებოდა კრედიტზე, ეს უბრალოდ საშუალებას აძლევდა დაწესებულებასაც და დოქტორანტაც შეფასება გამჭვირვალედ დაენახა. ამ დორისათვის ცვლილება ამ კუთხით შესული არ იყო პროგრამაში. რაც შეეხებოდა ბიბლიოთეკის მიერ აქტივობების საკითხს, მათ წერილში წარმოდგენილი ჰქონდათ ის აქტივობები, რომლებიც განხორციელდა და ამ კუთხით გააქტიურება შეინიშნებოდა. ხოლო, რაც შეეხებოდა ელექტრონულ პორტალს, მასში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ჩაერთობოდნენ დოქტორანტებიც. განსაკუთრებით ყურადსაღები რეკომენდაცია იყო პროგრამაზე მიღების წინაპირობების შესახებ, რაზეც დაწესებულება ექსპერტებს ეთანხმებოდა. განხორციელდა ცვლილება და ამიერიდან პროგრამაზე მიიღებოდნენ მაგისტრები ან მაგისტრთან გათანაბრებული პირები, რომლებსაც ექნებოდათ

საგანმანათლებლო დაწესებულებაში 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება. რაც შეეხებოდა დამსაქმებელთა მოტივაციის გაზრდას პროგრამაში ჩართულობისთვის, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კურსდამთავრებულებს დასაქმება შეეძლოთ როგორც უმაღლეს, ასევე ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში და არასამთავრობო ორგანიზაციებში. დაწესებულებას ყველა სტრუქტურის წარმომადგენლებთან მუდმივად ჰქონდა შეხვედრები, რესურს ცენტრებთან და ისინი ჩართულნი იყვნენ პროგრამის განვითარებაში, მათი რეკომენდაციების გათვალისწინება ხდებოდა. მოტივაცია იყო დიდი, მაგალითისათვის, ხელოვნების უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მიმართა დაწესებულებას ჩარიცხულიყო განათლების სადოქტორო პროგრამაზე საგნის მეთოდის მიმართულებით, რადგან არ ჰყავდათ სპეციალისტი, დოქტორანტი მიღებულ იქნა ყველა დადგენილი წესის მიხედვით. ამ მიმართულებით მუშაობა მომავალში კვლავაც გაგრძელდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, პროგრამაზე კვლევის ბაზა შეირჩეოდა საკვლევი პრობლემიდან გამომდინარე და გულისხმობდა ყველა ტიპის დაწესებულებას განათლების სფეროში. რაც შეეხებოდა სასწავლო კურსებს, კურსი - სწავლების თანამედროვე მეთოდები, მიმდინარე წლამდე იყო სავალდებულო კურსი, თუმცა გახდა არჩევითი, რადგანაც მოქმედ დოქტორანტებს პროგრამაზე ამ მიმართულებით ცოდნა უკვე ჰქონდათ. დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და კურსი კვლავაც გადავიდოდა სავალდებულო ბლოკში. თემატიკა კურსისა უმეტესად სალექციო არ იყო, 30 საათიდან 13 იყო სალექციო და ლექციაც ძირითადად პრაქტიკული მიმართულებით ტარდებოდა. შედიოდა ისეთი კრიტერიუმები, როგორებიც იყო ლექციის დაგეგმვა, წარმართვა და სხვა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ სილაბუსიდან პრაქტიკულ მუშაობაზე აქცენტირება არ ჩანდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დოქტორანტები სპეციალობებიდან გამომდინარე იხილავდნენ მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებს, ადარებდნენ სასურველი პროგრამის კომპეტენციების ჩამონათვალს, რომელიც უნდა ყოფილიყო კონკრეტული სპეციალობების სილაბუსებში. მათ ჰქონდათ შეთავაზებები სხვა დაწესებულებების წარმომადგენლებთანაც. მათ შორის სოფიკო ლობჯანიძესთანაც. კურსების წაკითხვასთან დაკავშირებით. აკადემიური პერსონალი დაწესებულებას საკმაოდ ძლიერი ჰყავდა. 18 პროფესორიდან 6 სრული პროფესორი იყო, ხოლო 12 ასოცირებული, ხოლო 5 პერსონალი მოწმულ პერსონალს წარმოადგენდა. ამ კუთხით მუშაობა კვლავაც მიმდინარეობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ჰქონდა თუ არა პროგრამას დაწესებულებაში წინა საფეხურებიც. ამასთანავე რამდენი სტუდენტი ჰყავდა პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამას ჰქონდა წინა საფეხურები. მოცემულმა პროგრამამ 2013 წელს მიიღო აკრედიტაცია. დისერტაცია 18 სტუდენტს ჰქონდა დაცული. ამჟამად პროგრამას 9 სტუდენტი ჰყავდა, თუმცა რადგან პროგრამა აკრედიტაციის პროცესში იყო მათ სტატუსი ჰქონდათ შეჩერებული. 4 სტუდენტს აპრობაცია ჰქონდა გავლილი, 5 იყო მეორე სასწავლო წლის სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, 18 დოქტორიდან, ყველა მოცემული დაწესებულების სტუდენტი იყო თუ სხვადასხვა დაწესებულებების სტუდენტები.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა ჰკითხა ექსპერტებს, შეამოწმეს თუ არა მათ ნაშრომები.

ექსპერტმა უპასუხა, რომ ნაშრომები შემოწმდა. სათაურები ზოგადი იყო, თუმცა კვლევითი კომპონენტი იკვეთებოდა, მაგრამ კვლევის სფერო იყო ფართო და ნაკლებად შეესაბამებოდა მესამე საფეხურს.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ მას პირიქით, დარჩა შთაბეჭდილება, რომ საკვლევი თემატიკა ზედმეტად ვიწრო იყო და ეს სამაგისტრო საფეხურს უფრო შეესაბამებოდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მას სურდა დაეზუსტებინა რა ლოგიკით იყო გამოტანილი ცალკე საგნად მხოლოდ უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა და არა რომელიმე სხვა საფეხურისა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს იყო არჩევითი სასწავლო კურსი და გაივლიდა ის სტუდენტი, ვისაც გავლილი არ ექნებოდა უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა. რაც შეეხებოდა ზოგად პედაგოგიკას, უკვე ნახსენები ბოლო წლებში გამოკვეთილი ტენდენციის გამო, რომ სტუდენტებს ამ კუთხით ცოდნა ჰქონდათ და ისინი არ ირჩევდნენ აღნიშნულ სასწავლო კურსს, ამიტომაც მოხდა მისი ამოღება.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განაცხადა, რომ როდესაც ის გაეცნო პროგრამას, აღმოაჩინა, რომ დასაქმების სფეროების ჩამონათვალი იწყებოდა საჯარო და კერძო სკოლებით. მან იკითხა, რა პოზიციაზე ფიქრობდა დაწესებულება, რომ კურსდამთავრებულები დასაქმდებოდნენ სკოლებში ან არასამთავრობო ორგანიზაციებში. მას მიაჩნდა, რომ დოქტორისათვის საჯარო სკოლა და არასამთავრობო სექტორი პრიორიტეტულობის თვალსაზრისით ნომერ პირველ დასაქმების სექტორებს არ წარმოადგენდა. ის დაინტერესდა, რამ განაპირობა დაწესებულების მსგავსი არჩევანი აქცენტებისას.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ დასაქმების სექტორების ჩამონათვალის ბოლოს ეწერა საჯარო დაწესებულებებიც, მაგრამ თუ საჯარო დაწესებულებებში იგულისხმებოდა განათლების სამინისტრო, ან მსგავსი უწყებები, მაშინ პროგრამას აკლდა ის კომპონენტები, რომლებიც მის კურსდამთავრებულებს აღნიშნულ უწყებებში მუშაობის საშუალებას და კომპეტენციებს მისცემდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბოლო წლებში დიდი იყო მოთხოვნა საჯარო სკოლის პედაგოგებისაგან, განათლების პროგრამაზე ჩაბარების.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული მათი მიზნებიდან გამომდინარეობდა, მაგრამ პროგრამის მიზანი არ უნდა ყოფილიყო სკოლის მასწავლებლის გაზრდა, რომლის გაზრდაც რეალურად საბაკალავრო საფეხურზე უკვე სრულდებოდა. სადოქტორო პროგრამას მკვლევარები უნდა მოემზადებინა.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა აღნიშნა, რომ მეორე მხრივ დოქტორების მიერ სკოლაში სწავლებას შესაძლოა დადებითი გავლენა მოეხდინა იმ ზოგად ფონზე რაც დღეს შეინიშნებოდა სკოლის მასწავლებლებში.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ აღნიშნა, რომ მოცემულმა ვითარებამ სხვა მექანიზმი წარმოშვა, რომელიც ნაკლებად იქნა ორიენტირებული კვალიფიკაციის გაზრდაზე.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ თუ პროგრამის მიზანი იქნებოდა პედაგოგის მომზადება, მაშინ შესაბამისი საგნების სწავლება იქნებოდა საჭირო, რაც მოცემულ პროგრამაში არ იკვეთებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს წევრებს, რომ დასაქმების სფეროების ჩამონათვალი მართლაც არ უნდა დაწყებულიყო საჯარო და კერძო სკოლებით.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განაცხადა, რომ პროგრამაში ეწერა, რომ მას ჰქონდა ორი მიმართულება - განათლების მეცნიერებები და მეთოდოლოგია. მან თქვა, რომ მეთოდოლოგია შედიოდა განათლების მეცნიერებაში. აქ საჭირო იქნებოდა მეტი კონკრეტულობა, კერძოდ რა მოიაზრებოდა განათლების მეცნიერებებში და რა იყო პროგრამის ინტერესის სფერო, იყო ეს სასკოლო პედაგოგიკა, განათლების პოლიტიკა, განათლების მენეჯმენტი თუ სხვა. რაც შეეხებოდა სასწავლო კურსებს, სწავლის შედეგები ნამდვილად შეესაბამებოდა სადოქტორო დონეს, თუმცა კურსების შინაარსი და ლიტერატურა შედეგებზე გასვლის საშუალებას ნაკლებად იძლეოდა. ეს შესაძლოა იქიდან ყოფილიყო გამომდინარე, რომ გაწერილი იყო მწირად კვირებში, მაგრამ თუ მიზეზი იყო ეს, მაშინ სილაბუსების გაწერა უნდა მომხდარიყო ისე, რომ ცხადი გამხდარიყო, რომ კურსები იყო სადოქტორო დონის. მან იკითხა, რა მიზანი ჰქონდა სწავლების თანამედროვე მეთოდების კურსს, იყო ეს ასისტირების წინაპირობა თუ მეთოდოლოგიის კვლევისთვის გამიზნული კურსი.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა დარჩენილიყო განათლების ფილოსოფიის კურსი, რომელიც არსით ფართო იყო, ვიდრე სწავლების მეთოდების კურსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სწავლების თანამედროვე მეთოდები იყო ასისტირების წინა კურსი, რომელიც ამზადებდა დოქტორანტს იმისათვის რომ ლექცია ჩაეტარებინა.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ აღნიშნული სილაბუსში არ იყო მითითებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის იზიარებდა საბჭოს წევრის აზრს განათლების ფილოსოფიის საჭიროების შესახებ.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში აუცილებელი არ იყო ისინი დათანხმებოდნენ ექსპერტთა რეკომენდაციას, მათ საკუთარი ხედვა უნდა დაეცვათ. ეს ნიშნავდა, რომ ირღვეოდა დაწესებულების კონცეფცია, თუმცა ისინი ამას ეთანხმებოდნენ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ განათლების ფილოსოფია ისწავლებოდა ქვედა საფეხურზე.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განაცხადა, რომ მნიშვნელობა ჰქონდა იმ დონეს, რა დონეზეც კურსი საფეხურების მიხედვით უნდა შეესწავლათ სტუდენტებს.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განაცხადა, რომ კურსში - უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, სწავლის შედეგი იყო შემდეგი : შეუძლია უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საკითხების კვლევის საფუძველზე ახალი ცოდნის შექმნა და საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში ასახვა. მან თქვა, რომ სწავლის შედეგები საჭიროებდა შეფასებას. მან იკითხა, რომელი შეფასების კომპონენტით ფასდებოდა აღნიშნული კურსის სწავლის აღნიშნული შედეგი.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ აღნიშნული შედეგი ვერ შეფასდებოდა და საჭირო იყო შესწორება.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განაცხადა, რომ მისი რჩევა შემდეგი იყო. შესაძლებელი იყო პროგრამაში სავალდებულო საგნებად შეტანილიყო ორი დარგობრივი ძირითადი კურსი, ერთი, თანამედროვე გამოწვევები სწავლების მეთოდოლოგიაში და თანამედროვე გამოწვევები თეორიულ პედაგოგიკაში. დაწესებულებას გააჩნდა კარგი ბაზები, სადაც სტუდენტებს შეეძლოთ ახალი გამოწვევები. სადოქტორო პროგრამას არ უნდა იმეორებდეს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის კურსებს. ამასთანავე მან აღნიშნა, რომ მან კვლევის კურსში ვერ ნახა ექსპერიმენტული კვლევა, არადა დოქტორანტი, რომელიც კვლევას სწავლების მეთოდოლოგიის მიმართულებით ახორციელებს, მისი კვლევა

ხშირად ექსპერიმენტულ კვლევაზე დაფუძნებული. კარგი იქნებოდა, კვლევის კურსში ამ კომპონენტის ჩამატება. ან სტუდენტებისთვის ცალკე არჩევითი კურსის სახით შეთავაზება.. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ დოქტორანტურის სტუდენტები კურსებში ნაკლებად შეფასებულიყვნენ ტესტირებებით, რაც ამ პროგრამის შემთხვევაში ხშირად ხდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა არ აპირებდა მოცემულ კურსებზე შეჩერებას და არჩევითი კურსების სია კიდევ გაიზრდებოდა.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ კურსები, იქნებოდა ეს განათლების ფილოსოფია თუ სწავლების მეთოდები არ იყო სადოქტორო დონის. მაგალითად თემებში შესული იყო გოეციუსი, რომელიც დიდი ალბათობით სტუდენტებს წინა საფეხურებზე უკვე შესწავლილი იქნებოდათ. კურსები უნდა დაცლილიყო ქვედა საფეხურებზე გავლილი თემატიკისაგან.

17:42 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 17:54 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 3

წინააღმდეგი- 8

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27^ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

გადაწყვეტილების დასაბუთებისას საბჭომ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის სტანდარტის 1.2. და 1.3. კომპონენტები არ შეესაბამებოდა მოთხოვნებს.

 15

3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საბუღალტრო აღრიცხვაში 0201
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე განსახილველ პროგრამასთან მიმართებაში დააყენა თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა იყო მოქმედი. პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2011 წელს. მოცემული ეტაპისათვის პროგრამას კურსდამთავრებული არ ჰყოლია. დაწესებულება განმარტავდა, რომ დროთა განმავლობაში მოხდა პროგრამის მოდერნიზაცია, მოხდა აუდიტის ნაწილის დამატება და სხვა. პროგრამა გაუმჯობესდა, რაც დასტურდებოდა ექსპერტთა მიერაც და შეინიშნებოდა სტუდენტების რიცხოვნობის ზრდაც.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი რეკომენდაცია შეეხებოდა პროგრამის მიზნებისა და შედეგების ფორმულირების დაკონკრეტებას საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სპეციალობის ფუნქციური შინაარსიდან გამომდინარე. რეკომენდირებული იყო პქატისა და საბაკალავრო ნაშრომის არჩევითი კომპონენტები გამხდარიყო სავალდებულო სტატუსის, რადგან რადგან ორივე კომპონენტი მნიშვნელოვანი იყო. კურსებში მათემატიკა 1 და მათემატიკა 2, სწავლის შედეგები ცოდნა-გაცნობიერების და პრაქტიკული უნარების ნაწილში იყო ერთი და იგივე, ამიტომაც საჭირო იყო მათი გამიჯვნა. პროგრამის სპეციფიკიდან

გამომდინარე, საჭირო იყო ისეთი კურსების შეტანა პროგრამაში, როგორებიც იყო: „ოპერაციული მენეჯმენტი“, „ადამიანური რესურსების მართვა“, „ლოჯისტიკა“, „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“, ასევე „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი“ რაც სტუდენტს მისცემდა ფართო ცოდნას ბაზარზე თანამედროვე სისტემების შესახებ. სანაცვლოდ „ტურიზმის საფუძვლები“ შესაძლებელი იყო ამოღებულიყო სავალდებულო კურსებიდან. რეკომენდირებული იყო სასწავლო ნაშრომი წესისამებრ, ორჯერადად შეფასებულიყო, ნაცვლად ერთჯერადისა. რეკომენდირებული იყო ეროვნული გამოცდების შედეგად, ვაკანტური ადგილების მეტი რაოდენობა გამოცხადებულიყო მათემატიკაზე. პროგრამაზე მიღება ხდებოდა თითქმის ყველა საგნით, მართალია თანაფარდობა მათემატიკისა მეტი იყო, თუმცა ადგილების რაოდენობის გაზრდა ამ მიმართულებით სასურველი იქნებოდა. რეკომენდებული იყო სასწავლო კურსებს „მიკროეკონომიკა“ და „მაკროეკონომიკა“ შეეცვლოდა სახელწოდება, ვინაიდან კურსის შინაარსიდან გამომდინარე რეალურად წარმოადგენდა „მიკროეკონომიკის პრინციპებს“ და „მაკროეკონომიკის პრინციპებს“; ასევე სასურველი იყო, კურსის შინაარსიდან გამომდინარე სასწავლო კურსს „აუდიტი“ შეეცვლოდა სახელწოდება „აუდიტის საფუძვლებით“. რაზეც ექსპერტთა თქმით დაწესებულება მათ ეთანხმებოდა. რეკომენდებული იყო წინაპირობები განსაზღვრულიყო შემდეგ სასწავლო კურსებში: „მაკროეკონომიკა“, „სტატისტიკის და ალბათობის შესავალი“, „ფინანსების საფუძვლები“, „მენეჯერული აღრიცხვა 1“, „საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები“. რეკომენდებული იყო სასწავლო კურსში „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ლექციების შემცირების ხარჯზე, რომელსაც 27 საათი ეთმობოდა გაიზარდილიყო პრაქტიკული მეცადინეობების მოცულობა, რომელსაც 16 საათი ეთმობოდა. რეკომენდებული იყო განისაზღვრულიყო პროგრამით გათვალისწინებული ის სავალდებულო კომპონენტები, რომლებიც სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონოდა პრაქტიკის კომპონენტის არჩევის მომენტისათვის.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამაში ბიზნეს ინგლისური შედიოდა პირველი და მეორე ინგლისურის შემდგომ. მას არ ჰქონდა წინაპირობა, ამიტომაც რეკომენდირებულ იქნა რომ წინაპირობად მითითებულიყო ინგლისური ენა B1/B2. პროგრამის მდგრადობისათვის, სასურველი იყო პროგრამა გაძლიერებულიყო პროფილის მქონე აკადემიური პერსონალით. პროგრამაში მონაწილეობდა 12 აკადემიური პერსონალი, საიდანაც 11 აფილირებული იყო, ბიზნესის მიმართულებით აკადემიური ხარისხი ჰქონდა 3 პერსონალს, რაც შეეხებოდა მოწვეულ პერსონალს, ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროგრამის განვითარებაში. დაწესებულება რეკომენდაციას ეთანხმებოდა და ჰქონდათ კიდევ მცდელობა პერსონალის აყვანისა კონკრეტული პროფილით. კონკურსის გამოცხადება კიდევ იგეგმებოდა.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა იკითხა, იყო თუ არა 11 აფილირებული პერსონალი საკმარისი პროგრამისათვის და იყვნენ თუ არა ისინი პროფილური მიმართულების განათლებით წარმოდგენილნი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ისინი არ იყვნენ წარმოდგენილნი საჭირო პროფილური განათლებით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ რაც შეეხებოდა სასწავლო მასალას, ის მეტწილად მისაღები ლიტერატურა იყო, თუმცა ზოგიერთ სილაბუსში საჭირო იყო ლიტერატურის განახლება რადგან გამოიყენებოდა მოძველებული ლიტერატურა, ამასთანავე ზოგიერთ ლიტერატურას აკლდა წლებიც. სასწავლო კურსში „გადასახადების ადმინისტრირება“ პრაქტიკულ ნაწილში რეკომენდებული იყო ელექტრონული ვებ-პორტალის www.rs.ge ელექტრონული გადასახადების სატესტო გვერდის შესწავლა. ლექტორმა ექსპერტებს განუცხადა, რომ

პირველივე მეცადინეობაზე ხდებოდა პორტალის გაცნობა, თუმცა სილაბუსიდან ეს არ ჩანდა და რეკომენდაცია ამიტომ იქნა შემუშავებული.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს, რადგან აცხადებდნენ რომ უმჯობესი იქნებოდა პროგრამაზე მომხდარიყო სტუდენტთა მიღება მათემატიკით, რა მექანიზმი არსებობდა იმისათვის, რომ შემოწმებულიყო, რომ მათემატიკა ჩაბარებულმა სტუდენტმა უკეთ იცოდა მათემატიკა, ვიდრე ისტორია ჩაბარებულმა. ამასთანავე, მან თქვა, რომ ზოგიერთი რეკომენდაცია მეტად ჰგავდა რჩევას, რეკომენდაცია მისთვის აღიქმებოდა როგორც ხარვეზი, რაც იძლეოდა პროგრამაზე წარმოდგენის შექმნის საფუძველს. აღნიშნული რეკომენდაცია მათემატიკა ჩაბარებული სტუდენტების მიღების რაოდენობაზე არ წარმოადგენდა ხარვეზს, ამიტომაც უნდა გამოიწხულიყო, რა იყო ხარვეზი და რა რჩევა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მათი ლოგიკა მომდინარეობდა იქიდან რომ პროგრამა იყო სპეციფიკური. ამასთანავე მათ არ განუსაზღვრავთ არჩევით საგნად მხოლოდ მათემატიკა, არამედ მეტწილად მათემატიკა. იმის მიზეზი, რომ პროგრამას არ ჰყავდა კურსდამთავრებული, შესაძლოა ისიც ყოფილიყო, რომ ისტორია ჩაბარებული ან სამოქალაქო ჩაბარებული სტუდენტები ვერ ძლევდნენ პროგრამას.

საბჭოს წევრმა, ირინა გოცირიძემ იკითხა, არსებობდა თუ არა დაწესებულების მიერ ჩატარებული ანალიზი ამ მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომელ წელს განახორციელეს მათ პირველი მიღება

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიღება გამოცხადდა 2012 წელს, მაგრამ პროგრამას სტუდენტი არ ჰყოლია. 2014 წელს მოხდა მიღება, ამჟამად ყველაზე მაღალ საფეხურზე პროგრამაზე იყვნენ მესამეკურსელები და პირველი გამოშვება პროგრამას ეყოლებოდა მომავალ წელს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ 2013 წელს პროგრამამ მცირე რაოდენობით სტუდენტები მიიღო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 2013 წელს მცირე რაოდენობით მიღება განხორციელდა, მაგრამ სტუდენტებმა კარგად იცოდნენ ინგლისური, ამიტომაც გადავიდნენ ინგლისურ სექტორზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი აკვირდებოდნენ ვითარებას და იმ სტუდენტებისათვის, ვისაც არჩევით საგნად ჩაბარებული არ ჰქონდათ მათემატიკა, პროგრამაზე სწავლა პრობლემას არ წარმოადგენდა. ამასთანავე, პროგრამა ითვალისწინებდა საჭიროებას და გაძლიერებულად ასწავლიდა მათემატიკას. მათი ხედვით პროგრამაზე მიღება არ იყო თავდაპირველად და ეტაპობრივად მოთხოვნა იზრდებოდა იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა გამდიდრებულ იქნა აუდიტის მიმართულებით, პროგრამას შეეცვალა სახელიც, რის შედეგადაც დაწესებულების დაკვირვებით გაიზარდა მოთხოვნა აბიტურიენტებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა პროგრამის მიზნების დაკონკრეტებას, განაცხადა, რომ მოხდა სპეციალისტების შეკრება, საკითხის განხილვა და გადაწყდა, რომ პროგრამის მიზანი დარჩენილიყო უცვლელი. გადაიხედა რა, პროგრამის მიზნის ბოლო ფრაზაზე, სპეციალისტებმა ჩათვალეს, რომ კონკრეტულად იყო საკმარისი. გარდა ამისა, პროგრამის შედეგებში დეტალურად იყო გაწერილი რა თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს შეიძენდა სტუდენტი პროგრამის ფარგლებში. რაც შეეხებოდა პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის არჩევით სტატუსთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ სტუდენტს შეეძლო არჩევანი

გაეკეთებინა პრაქტიკასა და საბაკალავრო ნაშრომს შორის, თუმცა დაწესებულება ექსპერტებს იმ ნაწილში ეთანხმებოდა, რომ პროგრამაზე პრაქტიკა უფრო მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო. დაკონკრეტდა, რომ პრაქტიკა არ იქნებოდა სავალდებულო მათთვის, ვინც კონკრეტულად ამ კუთხით იყო დასაქმებული, ისინი დაწერდნენ ნაშრომს, თუმცა ბუნებრივია სურვილის შემთხვევაში შეეძლოთ აერჩიათ პრაქტიკაც. რაც შეეხებოდა მათემატიკა 1 და მათემატიკა 2 კურსებს, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოხდა შეხვედრა საგნის ხელმძღვანელთან და მან კურსის პირველი ნაწილის და კურსის მეორე ნაწილის შემთხვევაში დააკონკრეტა შედეგები, კერძოდ რაზე იყო კონცენტრირებული თითოეული მათგანი.

დაწესებულების წარმომადგენელმა პროგრამაში ისეთი კურსების ჩასმაზე როგორც იყო ოპერაციული მენეჯმენტი და სხვა, განაცხადა რომ აღნიშნულმა რეკომენდაციამ დააფიქრა სპეციალისტები, თუმცა რადგანაც პროგრამა კონცენტრირებას აკეთებდა საბუღალტრო მიმართულებაზე და აუდიტზე, ექსპერტების რეკომენდაციაში აღნიშნული საგნები რჩებოდა არჩევითი სტატუსით პროგრამაში, რადგან დაწესებულებას მოცემული ეტაპისათვის, პროგრამაში საგრძნობი შინაარსობრივი ცვლილებების შეტანა არ სურდა, რადგან პროგრამის განვითარების დინამიკა მოცემული სახით დადებითი იყო. რაც შეეხებოდა ტურიზმის საფუძვლებს, მან გადაინაცვლა არჩევით ბლოკში და მის ნაცვლად სავალდებულო კომპონენტში ჩაჯდა საინფორმაციო ტექნოლოგიები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გარდა დაწესებულებაში მყოფი სპეციალისტებისა, მათ კონსულტაციები გაიარეს ისეთ დაწესებულებასთან როგორც იყო სარასი და მათი რჩევითაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მომხდარიყო ისეთი სავალდებულო კურსების სწავლება რაც დარგისათვის იქნებოდა უცილებელი. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა საგანი - საბუღალტრო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამები, სადაც ისწავლებოდა ორისის პროგრამა და გათვალისწინებული იყო კურსის გამდიდრება სხვა პროგრამებით. რაც შეეხებოდა საბაკალავრო ნაშრომში ერთჯერად შეფასებას, ამასთან დაკავშირებით ცლსახა გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, იქიდან გამომდინარე რომ დაწესებულებაში საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდებოდა ორჯერადად. ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს, რაც პროგრამის აკრედიტაციაზე შეტანის შემდგომ აღმოაჩინა დაწესებულებამ. არსებობდა შუალედური შეფასების ორი ვარიანტი, როდესაც შეფასებას ახდენდა ხელმძღვანელი ან კომისია და ხელმძღვანელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა წაიკითხა რეკომენდაცია მიკრო და მაკრო ეკონომიკისათვის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით, რაზეც გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მისთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა რა ერქმეოდა კურსს, რადგან მთავარი იყო მისი შინაარსი.

სასწავლო კურსებში: „მაკროეკონომიკა“, „სტატისტიკის და ალბათობის შესავალი“, „ფინანსების საფუძვლები“, „მენეჯერული აღრიცხვა 1“, „საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები“, წინაპირობების განსაზღვრის შესახებ, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ლექტორებთან კონსულტაციის შედეგად გამოიკვეთა, რომ რადგანაც თავად ჩამოთვლილი სასწავლო კურსებიც წარმომადგენდნენ საფუძვლებს, მათ დამატებით ჰქონოდათ შესავალი. დაწესებულება არ ეთანხმებოდა მენეჯერული აღრიცხვისათვის 1 და 2 წინაპირობის დაწესებას, რადგანაც „ACCA“-ის პროგრამას, რომლის მიხედვითაც მოხდა ხელმძღვანელობა პროგრამის განვითარებისას, ასევე არ ჰქონდა წინაპირობა, ჯერ ისწავლებოდა მენეჯერული აღრიცხვა და შემდგომ ფინანსური აღრიცხვა. რაც შეეხებოდა სტატისტიკას, დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ მას არ სჭირდებოდა წინაპირობა,

რადგან დაწესებულებაში, განსხვავებით სხვა დაწესებულებებისგან, სტატისტიკა ისწავლებოს 2 სემესტრის განმავლობაში. ამასთანავე მეორე სემესტრში იზრდებოდა საკონტაქტო საათების რაოდენობაც აღნიშნულ კურსზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეკომენდირებული იყო ინფორმაციული ტექნოლოგიების კურსზე, სადაც ექსპერტები მიუთითებდნენ პრაქტიკული მუშაობის გაზრდის საჭიროებაზე, თუმცა რეალურად ეს ასეც იყო, რადგან პრაქტიკის და თეორიის მიმართება იყო ორი ერთთან. გაუგებრობა გამოიწვია ტექნიკურმა ხარვეზმა, რადგან იგივე ლექტორი ასწავლიდა სხვა საგანსაც და მოხდა მექანიკური გადმოტანა სილაბუსიდან. რაც შეეხებოდა პრაქტიკის კურსის წინაპირობის საკითხს, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოხდა დაზუსტება და ჩაიწერა რომ სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონდეს სავალდებულო კომპონენტები, თუმცა რეალურადაც პრაქტიკა გათვალისწინებული იყო მერვე სემესტრში და ამ პერიოდისათვის სავალდებულო კომპონენტის უმეტესი ნაწილი სტუდენტს ათვისებული ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, ირინე გოცირიძემ იკითხა, რომ იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი არ აირჩევდა პრაქტიკას, როგორ მოხდებოდა კრედიტების განაწილება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში ის აირჩევდა საბაკალავრო ნაშრომს, იგივე კრედიტების რაოდენობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა რეკომენდაცია და ბიზნეს ინგლისურის წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენა B1 დონეზე. რაც შეეხებოდა პერსონალის საკითხს, დაწესებულება ზრუნავდა ამ კუთხით განვითარებაზე და ამ ეტაპისათვის კონკურსი გამოცხადებული იყო 4 ადგილზე, მათგან ერთი იყო საბუღალტრო აღრიცხვის კუთხით. აუდიტის მიმართულებით საკმაოდ რთული იყო სპეციალისტის მოძებნა დოქტორის ხარისხით, რადგან ეს იყო პრაქტიკულ საქმიანობაზე მიმართული სფერო, თუმცა კარგ პრაქტიკოსებსაც ანალოგიური წარმატებით შეეძლოთ ესწავლებინათ სტუდენტებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ლიტერატურის განახლება ხორციელდებოდა ყოველ სემესტრში. დაწესებულება ეთანხმებოდა, რომ ზოგიერთ სასწავლო კურსში ლიტერატურა განახლდებოდა, თუმცა საბანკო საქმესთან დაკავშირებით უნდა აღნიშნულიყო, რომ წარმოდგენილი იყო არა მხოლოდ ექსპერტთა მიერ აღნიშნული ლიტერატურა, არამედ რეგულაციების, რომლითაც ხელმძღვანელობდა ლექტორი და იყენებდა ეროვნული ბანკის ვებ გვერდს და იქ განთავსებულ ინფორმაციას. ზოგადად დარგი იმდენად დინამიური იყო, რომ სახელმძღვანელო თუნდაც გასულ წელს გამოცემული შესაძლოა უკვე მოძველებულად ჩათვლილიყო.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ ის ვერ დაეთანხმებოდა დაწესებულებას იმაში რომ ეროვნული ბანკის ფუნქციების ნაწილში ხშირად ხდებოდა ცვლილებები. ეროვნული ბანკის საიტი არ გამოდგებოდა სასწავლო მასალად, რესურსად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის აღნიშნავდა, რომ სახელმძღვანელოები გამოიყენებოდა თეორიის შესასწავლად, ხოლო რეგულაციებისთვის, რომელიც ცვალებადი იყო იყენებდნენ უშუალოდ საიტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა Rs.ge პორტალის გამოყენების შესახებ განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ შეხვედრა საგნის ხელმძღვანელთან, რომელიც აცხადებდა, რომ პორტალს იყენებდა სწავლების პროცესში და ამის გადასამოწმებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელა შემოწმება, კერძოდ ლექტორები ვალდებული იყვნენ აეტივრთათ ის დავალებები ყოველკვირელად, რა დავალებებსაც და მასალებსაც სტუდენტებს აძლევდნენ,

რისი შემოწმების შედეგადაც ლექტორს ნამდვილად ჰქონდა გამოყენებული ნახსენები პორტალი. ლექტორი აცხადებდა რომ ის ვერ ჩაწერდა მას ძირითად ლიტერატურად, რადგან პორტალს ეხებოდა საქმე და ლექტორი მას ლიტერატურად არ თვლიდა, თუმცა სილაბუსის აღწერილობაში ის ახსენებდა, რომ პორტალს იყენებდა.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, რადგან მათ პირველ პუნქტში მითითებული ჰქონდათ ნაწილობრივი შესაბამისობა, რა იყო ის ძირითადი მიზეზი, რამაც განაპირობა მსგავსი შეფასება.

ექსპერტმა განაცხადა, რომ უპირველესი იყო აკადემიური პერსონალის საკითხი, რადგან პროგრამაზე პროფილური მიმართულებით ასწავლიდა მხოლოდ 1 ადგილობრივი პერსონალი, ხოლო დანარჩენი იყვნენ მოწვეულები. ამასთანავე, რადგანაც კვალიფიკაცია გადიოდა ბიზნეს ადმინისტრირებაზე საბუღალტრო აღრიცხვაში, აუცილებელი იყო ბიზნეს ადმინისტრირების საგნების სწავლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში იყო ბიზნეს ადმინისტრირების საგნები არჩევითი სტატუსით. ის საგნები რაც ისწავლებოდა სავალდებულოდ, დაწესებულება თვლიდა რომ მეტად მნიშვნელოვანი იყო მოცემული პროფესიისათვის, რომელიც უნდა შეეძინა სტუდენტს. პროგრამა ვითარდებოდა დადებითად, ამიტომაც უკვე იქნა ნახსენები რომ დაწესებულებას არ სურდა რადიკალური ცვლილებების შეტანა მასში.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მას ჰქონდა მოსაზრება, რომ რადგანაც პროგრამა გადიოდა ბიზნეს ადმინისტრირებაში კვალიფიკაციაზე, იყო საკითხები რომლის სწავლებაც საჭირო იყო და ის ამაში ექსპერტებს ეთანხმებოდა, ბუნებრივია გემოვნების საკითხი იყო ის, თუ რომელი საგნები ჩაიდებოდა ამ მიმართულებით. პროგრამას აკლდა ბიზნესის ნაწილი, თუმცა კარგად ჰქონდა განვითარებული ბუღალტრული ნაწილი. თუმცა ამასთანავე, ბუღალტრული ნაწილი აწყობილი იყო ACCA პროგრამის მიხედვით, რაც ბაკალავრიატზე შესაძლოა ბოლომდე სასარგებლო არ ყოფილიყო, რადგან ეს არ იყო პროფესიული სწავლება და აკლებდა სტუდენტს ბიზნესის ხედვის ჩამოყალიბებას. ვერ უზრუნველყოფდა ბიზნესის სისტემურ ხედვას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ACCA -ის სახელმძღვანელო არ იყო ერთადერთი სახელმძღვანელო, რითიც ლექტორი ხელმძღვანელობდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ საჭირო იყო გარკვეული საგნების შინაარსის გადახედვა. მაგ. მისი რჩევა იყო რომ გადახედილიყო საგანი სამეცნიერო წერის შინაარსი, რომელიც მისი აზრით ბაკალავრისთვის საჭირო არ იყო და უმჯობესი იქნებოდა წერითი კომუნიკაციების შეტანა პროგრამაში. ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები უნდა ყოფილიყო მეტად კომპლექსური და არ უნდა ყოფილიყო ორიენტირებული კონკრეტულ საკითხებზე, . მან თქვა, რომ წინაპირობებთან დაკავშირებით ლოგიკა ირღვეოდა, მაგ. რადგან ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები ისწავლებოდა პირველ სემესტრში, მაგრამ შეიძლებოდა ის ამ საგანში სტუდენტს დადებითი შეფასება არ მიეღო, თუმცა შესულიყო მომდევნო სემესტრში მაგალითად მარკეტინგის საფუძვლებზე ან მენეჯმენტის საფუძვლებზე. ამ მიდგომით იკარგება საგნის ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლების დატვირთვა. ეს საგანი უნდა ქმნიდეს საფუძველს რაც შემდგომ გამოსადეგი იქნებოდა სხვა საგნებშიც. მაგ: ტურიზმის საფუძვლებთან დაკავშირებით ის არ ეთანხმებოდა ექსპერტებს და მიაჩნდა, რომ დაწესებულების უფლება იყო განეთავსებინა კურსი თუნდაც სავალდებულო გრაფაში, თუმცა მთავარი იყო შინაარსი. მაგ. კურსში საუბარია მსოფლიოს გარკვეულ რეგიონებზე საერთოდ არ არის საუბარი ამერიკის რეგიონზე. ასევე ტურისტული

რესურსები მხოლოდ ბუნებრივი და კულტურული რესურსების კუთხით არის განხილული, არადა ტურისტულ რესურსების სპექტრი გაცილებით მრავალფეროვანია. საგანში ფინანსების საფუძვლებ არ იყო საუბარ იმაზე როგორ იქმნებოდა ფულის მასა, მიუხედავად იმისა რომ საუბარია ეროვნულ ბანკზე და კომერციულ ბანკებზე. ასევე არარის გამართლებული როდერსაც ფასიან ქარაღებზე საუბრისას შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ ობლიგაციებით და აქციებით

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფინანსური თემები განაწილებული იყო სხვა საგნებშიც.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ ფინანსების საფუძვლებს უნდა მოეცვა ფართო თემები და შემდგომ ისინი დაკონკრეტებულიყო სხვა საგნებში. მან იკითხა, რატომ ისწავლებოდა ერთ კურსად სახელმწიფო და არამომგებიანი ორგანიზაციები, როდესაც საქმე ეხებოდა ორ განსხვავებულ სტრუქტურას, სხვადასხვა ანგარიშგებით, სტანდარტებით და სხვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საკითხები არ იყო გაერთიანებული და მათ დრო ცალ ცალკე ეთმობოდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ თემატიკა უნდა გაფართოებულიყო საერთაშორისო ოპერაციების დაბეგვრაში და არ უნდა შემოფარგლილიყო მხოლოდ დეკლარაციის შევსებით. უნდა ხდებოდეს სხვადასხვა ავეყნის საგადასახადო სისტემების და ამ ქვეყნებში ფინანსური ოპერაციების დაბეგვრის სწავლება. იქმნება შტაბეჭდილება რომ პროგრამას აკლია „ერთიანი“ თვალი და ხედვა. აუცილებელია ისეთი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მოძიება რომლებიც კომპლექსურად შეხედავენ პროგრამის განვითარებას და არ შემოფარგლილიყვნენ მხოლოდ სილაბუსების აკვარგიანობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაწესებულებას ყოველ სემესტრში ჰქონდა დარგობრივი სხდომები, სადაც განიხილებოდა პროგრამის განვითარების საკითხებიც და არამხოლოდ სილაბუსების საკითხები. რჩევები რეგულარულად აისახებოდა პროგრამაში. დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა რომ არ გამოირიცხებოდა ბიზნესის ადმინისტრირების საგნების გამრავალფეროვნებაც, მიუხედავად იმისა რომ ისინი არჩევით ნაწილში წარმოდგენილი იყო.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ ასევე, პირველი სამი სემესტრის განმავლობაში ფინანსური აღიცხვის სიმცირე იგრძნობოდა და საურველი იქნებოდა თუ ამ კუთხით მუშაობას სტუდენტებს შედარებით ადრე დააწყებინებდნენ. იმ ფონზე რომ პროგრამაში კარგად არის გაშლილი და წარმოდგენილი აღრიცხვის საკითხები პროგრამა საჭიროებს ფინანსების სწავლების გაძლიერებას.

19:05 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 19:10 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 10



წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ა მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27^ა მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 6 თვე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად. ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ ცენტრმა უნდა განახორციელოს მონიტორინგი.

გადაწყვეტილების დასაბუთებისას საბჭომ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის პირველი სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაში იყო სტანდარტის მოთხოვნებთან.

19:15 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირაკლი ბურდული



მდივანი
ნინო ჩანადირი

